

სამართალი და პოლიტიკა

წინასწარი, გამაფრთხილებელი (პრევენციული) სასამართლო- კონსტიტუციური კონტროლი

რეზიუმე

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების ორი ფორმა: საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებზე განხორციელებული წინასწარი (პრევენციული) და შემდგომი (რეპრესიული) კონსტიტუციური კონტროლი.

გამაფრთხილებელი (პრევენციული) კონსტიტუციური კონტროლი უფრო დამახასიათებელია კონსტიტუციური ზედამხედველობის (კვაზი სასამართლო ორგანოებისათვის) (საფრანგეთი და სხვა), ვიდრე საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოებისთვის. გამაფრთხილებელი საკონსტიტუციო კონტროლის დროს ყველაზე მიზანშეწონილია მხოლოდ იმ დებულებების შემოწმება, რაზეც საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვაში, რაც შემდგომში არ კრძალავს იმ დებულებების რეპრესიული კონტროლის პროცედურის გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც სადავო, გამაფრთხილებელი კონტროლის საგანს არ წარმოადგენდა.

ნორმატიული აქტის ძალაში შესვლამდე და მის პრაქტიკულ გამოყენებამდე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება მისი ფორმისა და მიღების პროცედურის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმება. ამდენად, გამაფრთხილებელი კონტროლი ამ ორი საფუძვლით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო, სასამართლო, კანონი, ნორმატიული, აქტი, შემოწმება, კონტროლი, სუბიექტი, დებულება, საგანი, ზედამხედველობა, გადაწყვეტილება.

Preliminary (Preventative) Judicial-Constitutional Control

Nino nishnianidze, Doctor of Law, Professor

Summary

The world practice knows two forms of examination of the constitutionality of a normative-legal act: preliminary (preventive) constitutional control and consequential (repressive) constitutional control over the normative-legal

ნინო ნიშნიანიძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

acts conducted by the constitutional courts.

The preliminary (preventive) constitutional control is more characterized for the organs of constitutional supervision (i.e. quasi-courts – France etc.) rather than for the constitutional judicial bodies. The most reasonable during the preventive constitutional control shall be to examine the provision focused in the application to the constitutional court that does not prevent the opportunity to use the procedures of a repressive control of the provisions not subjected to a disputable, preventive control itself.

Before effectiveness and practical application of a normative act the constitutionality of its forms and the adoption procedures shall be definitely examined; thus, specifically these two factors shall be justifiable for the preventive control.

Key words: Constitutional, Judicial, Law, Normative, Act, Examination, Control, Subject, Provision, Supervision, Decision.

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმება ორი ფორმით:

1. საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებზე განხორციელებული წინასწარი (პრევენციული) და,

2. შემდგომი (რეპრესიული) კონსტიტუციური კონტროლი. ორივე კონტროლის სახე განვიხილოთ ცალ-ცალკე, თეორიულად, როგორც პრაქტიკაში რეალიზებადი შესაძლო ვარიანტი.

გამაფრთხილებელი (პრევენციული) კონსტიტუციური კონტროლი უფრო დამახასიათებელია კონსტიტუციური ზედამხედველობის (კვაზი სასამართლო ორგანოებისათვის) (საფრანგეთი და სხვა), ვიდრე საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოებისთვის.

სხვა სახელმწიფოებთან შედარებით საფრანგეთის თავისებურება მდგომარეობს იმაში რომ აქ კონსტიტუციური კონტროლი სრულად ხორციელდება მხოლოდ წინასწარი წესით და, მაშასადამე, ის წარმოადგენს კვაზი სასამართლოს. ამან ასახვა ჰპოვა მისი განმარტებული ორგანოს სახელწოდებაშიც (საკონსტიტუციო საბჭო).

თუმცა გამაფრთხილებელი კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებაზე გარკვეული უფლებამოსილებები ენიჭებათ საკონსტიტუციო სასამართლოებსაც.

წინასწარი-კონსტიტუციური კონტროლი, ე.ი.

კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციისადმი შესამაბისობის შემოწმება მათ ძალაში შესვლამდე არსებობს ავსტრიაში, უნგრეთში, ესპანეთში, იტალიაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, რუმინეთსა და რიგ სხვა სახელმწიფოებში.

გამაფრთხილებელ სასამართლო-კონსტიტუციურ კონტროლს გააჩნია რიგი უპირატესობები:

ა) ის იძლევა საშუალებას ოპერატიულად ავიცილოთ თავიდან კონსტიტუციური კანონიერების დარღვევები;

ბ) იცავს კანონმდებლობის პრესტიჟს, რაც შეუძლებელია შემდგომი (რეპრესიული) კონტროლის ჩარჩოებში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო მიდის დასკვნამდე კანონის არაკონსტიტუციურობის შესახებ და, მაშასადამე აუქმებს მას. ამასთანავე, ფიქსირდება კონსტიტუციური შეცდომა ან კანონმდებლის კონსტიტუციური სამართალდარღვევა;

გ) იძლევა საშუალებას თავიდან იქნეს აცილებული ის ნეგატიური შედეგები რომლებიც შეიძლება წარმოიშვას შემდგომი, (რეპრესიული) კონტროლის საფუძველზე უკვე ხანგრძლივად მოქმედი კანონის არაკონსტიტუციურობის ცნობის შემდეგ.

პრაქტიკული მოსაზრებები, როგორც სჩანს, მეტყველებენ შემდგომი (რეპრესიული) კონტროლის გამოყენების სასარგებლოდ, რადგან, როგორც წესი, დროში შეზღუდული (ერთი ან რამდენიმე კვირით) გამაფრთხილებელი კონტროლი შეიძლება აღმოჩნდეს არასაკმარისად ყოველმხრივი და ღრმა. გამაფრთხილებელი კონტროლის დროს არ შეიძლება სრულად იქნეს განსაზღვრული მისაღები კანონის პირდაპირი და ირიბი შედეგები მისი რეალიზაციის პრაქტიკული გამოცდილების არარსებობის გამო. როგორც ცნობილია ხშირად კანონის ფორმალური შინაარსი კორექტირდება პრაქტიკით, რაც იძულებულია აღიაროს საკონსტიტუციო სასამართლომაც, ახდენს რა კანონის ამა თუ იმ დებულების ინტერპრეტირებას მისი გამოყენების არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.

კანონების კონსტიტუციურობის სასამართლო განხილვა მოითხოვს კანონ-შემოქმედებითი მომენტისაგან გარკვეულ დისტანცირებას, რომლითაც მეტ წილად განისაზღვრება პოლიტიკური, ეკონომიკური და კონკრეტული სიტუაციის სხვა ფაქტორებით, სახელმწიფოსა და საზოგადოების დინამიური განვითარების დონე, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოების მუშაობის გამოცდილება და სასამართლო-კონსტიტუციური კონტროლის შესახებ კანონ-მდებლობისა და კონსტიტუციურობის ანალიზი გვიჩვენებს გამაფრთხილებელ სასამართლო-კონსტიტუციურ კონტროლს დაქვემდებარებული აქტები შეიძლება იყოს:

ა) ნებისმიერი კანონპროექტი (ავსტრია, ბელარუსი, უნგრეთი, გერმანია, ესპანეთი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, თურქეთი);

ბ) განსაკუთრებული სახის კანონპროექტები – კონსტიტუციური კანონპროექტი, რომლის საშუალებით ხდება კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ორგანული კანონები და სხვა (ესპანეთი, იტალია, მოლდავა, რუმინეთი, თურქეთი);

გ) საერთაშორისო ხელშეკრულებებს მიკუთვნებული კანონები (საქართველო, სომხეთი, უნგრეთი, პორტუგალია, მოლდავა);

დ) პარლამენტის პალატათა რეგალმენტი (სომხეთი, ბელარუსი, უნგრეთი, პორტუგალია, რუმინეთი);

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კანონქვემდებარე აქტები (პოლონეთი).

რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო წინასწარი კონტროლის წესით კონსტიტუციისადმი შესაბამისობაზე ამოწმებს მხოლოდ ძალაში შეუსვლელ საერთაშორისო ხელშეკრულებებს (რფ-ს კონსტიტუციის 125-ე მუხ. 1 ნაწ. „დ“ პ. „რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ფედერალურის საკონსტიტუციო კანონის მე-3 მუხ. 1 ნაწ. 1 პ. „დ“ ქვეპუნქტი).

რიგ სახელმწიფოებში არსებობს კონსტიტუციური მოთხოვნები გაფრთხილებები სასამართლო-კონსტიტუციური კონტროლის ობიექტთა რიცხვიდან ზოგიერთი სახის კანონის: ფინანსურის, კონსტიტუციის შესწორებების, რეფერენ-დუმზე გამოსატანი კანონების, საგანგებო კანონების ამოღების შესახებ.

ესპანეთში წინასწარი კონტროლის წესით მოწმდება ორგანული კანონებისა და ავტონომიის შასახებ სტატუსთა პროექტების კონსტიტუციურობა. იტალიაში წინასწარი კონტროლი მთავრობის მოთხოვნით ხორციელდება, ოლქების კანონებთან მიმართებაში მათ გამოქვეყნებამდე. თუ მთავრობის კომისიარი ჩათვლის, რომ ოლქის კანონი სცილდება ოლქის კომპეტენციის ფარგლებს და ეწინააღმდეგება ეროვნულ ან სხვა ოლქების ინტერესებს, კანონს უბრუნებს შესაბამის საოლქო საბჭოს. იმ შემთხვევაში თუ საოლქო საბჭო ხმების აბსოლიტური უმრავლესობით დაამტკიცებს თავის გადაწყვეტილებას, კანონის მიღების შემდეგ, მთავრობის თავმჯდომარე, კანონის მიხედვით, ხელახალი კენჭისყრის ჩატარებიდან, 15-დღის ვადაში მიმართავს უგზავნის საკონსტიტუციო სასამართლოს. სასამართლო მიმართვის მისთვის გადაცემის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას - მიმართვის გაუქმების, ოლქის სადაო კანონის კონსტიტუციურობის, ან დაინტერესებულ მხარის და მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით სადაო კანონის ბათილად ცნობის თაობაზე. კონსტიტუციაში შესწორებებთან მიმართებაში თურქეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააკონტროლოს მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილი მათი მიღების წესი, რაც გამოიხატება საბოლოო კენჭისყრის დროს საჭირო უმრავლესობის არსებობით და საპროცედურო წესების დაცვაში.

უნგრეთში რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონის საბოლოო ხელმოწერამდე კონსტიტუციით დადგენილ ვადებში, თხუთმეტი დღის განმავლობაში ან განსაკუთრებულ შემთხვევებში ხუთი დღის ვადაში კანონს ექსპერტიზისათვის უგზავნის საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ აღმოჩნდება, რომ კანონის რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო რიგგარეშე სხდომაზე ახდენს მიღებული კანონის ანტიკონსტიტუციურობის კონსტატირებას, ხოლო

რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონს უკან უბრუნებს სახელმწიფო სათათბიროს.

პოლონეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო ტრიბუნალს გამოაქვს გადაწყვეტილება კონსტიტუციისადმი პოლონეთის პარლამენტის-სეიმის მიერ მიღებული იმ საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რომლებზეც პრეზიდენტს არ აქვს ხელი მოწერილი და კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების ქვეყნის ძირითადი კანონის შესაბამისობის თაობაზე. კანონის ხელმოწერამდე პრეზიდენტს შეუძლია წინადადებით მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების შესახებ. პრეზიდენტს გააჩნია აგრეთვე კანონის ძალის მქონე მინისტრთა საბჭოს განკარგულებების, კონსტიტუციურობის შემოწმების თვალსაზრისით. საკონსტიტუციო ტრიბუნალისათვის მიმართვის უფლებამოსილება, პრეზიდენტის მიმართებით ჩერდება კანონპროექტზე პრეზიდენტის ხელმოწერის 30 დღიანი ვადა, თუ საკონსტიტუციო ტრიბუნალი სადავო კანონს სცნობს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, პრეზიდენტს, არ გააჩნია ანტიკონსტიტუციურ კანონზე ხელმოწერის უფლებამოსილება.

საკონსტიტუციო ტრიბუნალი განსაზღვრავს საკანონმდებლ აქტის, ან მისი ცალკეული დებულებების კონსტიტუციის ან სხვა საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობის საკითხს, მაგრამ მას არ გააჩნია მათი მოქმედების შეჩერების უფლებამოსილება. საკონსტიტუციო ტრიბუნალს თავისი გადაწყვეტილებას უგზავნის სეიმს განსახილველად. სეიმი განიხილავს საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას დადგენილი წესით, საკონსტიტუციო ტრიბუნალის თავმჯდომარის მიერ სეიმში გადაწყვეტილების წარდგენიდან ექვსი თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ სეიმი არ დაეთანხმა საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიერ წარმოდგენილ კანონის განმარტებას, მას გააჩნია საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილების გაუქმების უფლებამოსილება, თუ მას მხარს დაუჭერს სეიმის წევრთა ორი მესამედი. ასეთ შემთხვევაში სეიმის გადაწყვეტილება საბოლოოა.

საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება კანონქვემდებარე აქტებს, ტრიბუნალის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას უგზავნის შესაბამისი აქტის გამომცემ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს. მოცემული ორგანო კი ვალდებულია სამთვლიან ვადაში შეიტანოს აქტში ცვლილებები, ან მთლიანად გააუქმოს სადავო კანონქვემდებარე აქტი. თუ აქტის გამომცემი სახელმწიფო ორგანო არ განახორციელებს ზემო დასახელებულ ქმედებებს, მაშინ სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ავტომატურად კარგავს იურიდიულ ძალას, ცვლილებების შეტანის ან გაუქმების შესახებ დადგენილი ვადის გასვლისთანავე.

რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი კონტროლის წესით გამოაქვს შემდეგი

გადაწყვეტილებები:

- კანონების კონსტიტუციურობის შესახებ, მათ პრომულგაციამდე, – რუმინეთის პრეზიდენტის, პარლამენტის ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარის, მთავრობის, უზენაესი სასამართლოს არანაკლებ 25 სენატორის შუამდგომლობით;

- პარლამენტის რეგლამენტების კონსტიტუციურობის შესახებ – ერთერთი პალატის თავმჯდომარის, საპარლამენტო ჯგუფის, არანაკლებ პარლამენტის 50 დეპუტატის, ან არანაკლებ 25 სენატორის შუამდგომლობით;

- სავალდებულო წესით — კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე ინიციატივათა კონსტიტუციურობის შესახებ.

იმ შემთხვევაში თუ კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებას მოითხოვს პრეზიდენტი, კანონის პრომულგაცია წარმოებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა. არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონი ან რეგლამენტი უბრუნდება პარლამენტს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით. პარლამენტს გააჩნია უფლებამოსილება არ დაეთანხმოს კანონის ანტიკონსტიტუციურად ცნობას. ასეთ შემთხვევაში პარლამენტის თითოეულ პალატას გააჩნია კანონის მიღების უფლებამოსილება. თუ კანონის მიღებას მხარს დაუჭერს დეპუტატთა 2/3-ი.

გადაწყვეტილებაში რეგლამენტის ზოგიერთი დებულების არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, პალატას აქვს უფლება, კიდევ ერთხელ განიხილოს სადავო დებულებები და მოიყვანოს ისინი კონსტიტუციის დებულებებთან შესაბამისობაში.

“საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” რუმინეთის კანონით დადგენილია, პარლამენტში, კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე, კანონპროექტის შეტანამდე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ათდღიან ვადაში კანონპროექტის კონსტიტუციურობის შემოწმების სავალდებულობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღება ხდება პლენარულ სხდომაზე სასამართლოს მოსამართლეთა ხმების ორი მესამედით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გადაეგზავნება კანონპროექტის კანონპროექტის ავტორ, საკანონმდებლო შემოთავაზების ინიციატორს, ან მათ წარმომადგენლებს. ჩადაწყვეტილება ქვეყნდება რუმინეთის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, რუმინეთის „ოფიციალურ მოამბე“-ში. კანონპროექტი ან საკანონმდებლო შემოთავაზება შეიძლება წარდგენილ იქნეს პარლამენტში კანონპროექტის ან საკანონმდებლო შემოთავაზების კონსტიტუციურობასთან მიმართებაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად.

მოლდავას საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი კონტროლის განხორციელების მიზნით გააჩნია მხოლოდ ერთი უფლებამოსილება — გამოხატოს აზრი კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე არსებული წინადადებებზე.

კონსტიტუციის შესაბამისობაზე შემოთავაზე-

ბული წინადადებების შემოწმების საზღვრები, კონსტიტუციური კონტროლის თვალსაზრისით მოიცავს:

– კონსტიტუციასთან კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების, მათი ცალკეული დებულებების შინაარსის შესაბამისობის შემოწმებას;

– კონსტიტუციასთან ნორმატიული აქტის ფორმის შესაბამისობის შემოწმებას;

– კონსტიტუციასთან კანონის ან სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მიღების პროცედურის შესაბამისობის შემოწმებას.

ნორმატიული აქტის ძალაში შესვლამდე და მის პრაქტიკულ გამოყენებამდე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება მისი ფორმისა და მიღების პროცედურის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმება. ამდენად, გამაფრთხილებელი კონტროლი ამ ორ საფუძვლით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

გამაფრთხილებელი საკონსტიტუციო კონტროლის დროს ყველაზე მიზანშეწონილია მხოლოდ იმ დებულებების შემოწმება, რაზეც საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვაში, რაც შემდგომში არ კრძალავს იმ დებულებების რეპრესიული კონტროლის პროცედურის გამოყენების

შესაძლებლობას, რომლებიც სადაო, გამაფრთხილებელი კონტროლის საგანს არ წარმოადგენდა.

სხვადასხვა სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში გამაფრთხილებელ სასამართლო-საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებით წარმოქმნილ საკითხთა გადაჭრაში ბევრი რამ საერთოა, მაგამ არსებობს განსხვავებებიც, რაც ძირითადად გამომხატულებას პოულობს იმ სუბიექტთა წრით, რომელთაც გააჩნიათ გამაფრთხილებელი კონტროლის ინიცირების უფლება. ასეთი სუბიექტთა წრე შეზღუდულია, რაც გამათვლელია იმით, რომ არ შეფერხდეს საკანონმდებლო პროცედურა და გაჭიანურდეს კანონშემოქმედებით პროცესი.

საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის საფუძველზე უნდა შეჩერდეს საკანონმდებლო პროცედურები განსახილველ კანონპროექტებთან მიმართებაში. სწორედ ესაა პრევენციული კონტროლის პოზიტიური თვისება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული კანონის ან მისი ცალკეული დებულებების არაკონსტიტუციურობის შესახებ, ხელს უშლის მის პრომულგაციას. ასეთ შემთხვევაში კანონი უბრუნდება საკანონმდებლო ორგანოს, რომელსაც ეკისრება კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება, ან ახალი კენჭისყრით სასამართლოს გადამწყვეტილების უარყოფა.

დასკვნა

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს იურიდიული ბუნებიდან ჩანს, მისი საქმიანობა ჩვეულებრივი მართლმსაჯულებისაგან განსხვავებით სპეციფიურია. საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანოდ, კონსტიტუციური იუსტიციის როლი კი სასამართლო ხელისუფლების სისტემაში და ზოგადად სახელწიფო მექანიზმში, განპირობებულია კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას მიკუთვნებული დავების ეფექტური

გადაწყვეტილების დადგენილი მატერიალურ-პროცესუალური, სამართლებრივი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი კომპეტენციით.

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კომპლექსური ანალიზი, მოქმედ მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების ორი ფორმიდან საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებზე განხორციელებული წინასწარი (პრევენციული) კონსტიტუციური კონტროლის შემოღება, მოქმედ კანონმდებლობაში ხარვეზების გამოვლენა, მისი უფლებამოსილებების ცალკეული სახით კვლევა, ძირითადი კანონისადმი სახელმწიფო ორგანოთა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისობის შემოწმება, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების სამართლებრივი რეგლამენტაციის ძირითადი მიმართულებებისა და ხერხების შესწავლა და მოქმედი კანონმდებლობის შედარებითი სამართლებრივი ანალიზით საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებთან ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზასთან, აქტუალური საკითხია საქართველოში სასამართლო-საკონსტიტუციო კონტროლის ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.
2. “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, 1996 წ.
3. ს/კ “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ”. 1996 წ.
4. ვოლფგანგ გაული, კონსტიტუციის მიღება და შემუშავება საქართველოში, ქ. თბილისი, 2002წ.
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, თბ.1996 წ.
7. ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბილისი, “აირის საქართველო”, 2003 წ.
11. ანდრიო შაიო. ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თ. ნინიძის რედაქციით. თბილისი, “აირის საქართველო”, 2003 წ.
12. Garlicki, leszek. “The influence of American Ideas on the Development of Constitutionalism in Poland and Eastern Europe”. In Constitutionalism and Human Rights: America, Poland and France, edited by Kenneth Thompson and J.R.Ludwowski, University Press of America, 2001.
13. გერმანიის კონსტიტუცია, 1949 წ.
14. Баглай М.В. Слово о конституционном правосудии. Закон и право. 2010.
15. Чиркин В.Е. Предметы ведения федерации и ее субъектов: разграничение, сот-рудничество,
16. Умнова И.А. Конституционные основы современного российского федерализма. - М.: Дело, 2010.